ცნობის ფურცელი

№ 2432 ორშაბათი, 8 მარტი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2432

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

ქართული თეატრი

სამშაბათს, 9 მარტს, 1904 წ., ქართულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ

ბ. ვლ. სარდ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

ურიელ აკოსტა

ტრაგედია 5 მოქ. გუცკოვისა, თარგ. ი. ბაქრაძისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი დავითაშვილი, ნებიერიძისა. ბ-ნნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ბაქრაძე, ბარველი, გვარაძე, ივანიძე, იმედაშვილი, იორდანაშვილი, მატარაძე, სარჯველაძე, საფაროვი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

გამგე ა. იმედაშვილი. რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი. (4—6.—2)

სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა **მისის უდიდებულესობის** სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ორშაბათს, 8 მარტს, წარმოდგენილი იქნება

პიკოვაია დამა

ოპერა 3 მოქმ. მუს. ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი შულგინა, სტეფანოვიჩი, იანსი, ლელინა; ბ-ნნი: დავიდოვი, ილიუშჩენკო, ვიშნევსკი, თულაევი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ფასები აწეულია. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 9 მარტს—„მინიონი“, 10 მარტს—„ევგენი ონეგინი“. (1—21)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა,

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

ა. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ღამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

დ-რ. გ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

გ. გ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და სამშობიარო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. გ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

გ. ჰიჰინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

გ. გ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б. (ნოლ.)

ტელეფონი № 274

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპ არმაკლიძისა. (0—ნ.—64)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 88).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში

ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე; სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ. საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვაჩნაძისა.

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123 (თვ.—0—38)

ქუთაისში

კბილის ექიმი

მ. ი. ბეგიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი

ვ. დ. ღამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა სახლი№ 46.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 მარტი.

ლონდონი („რეიტ. სააგ.“). „რეიტერის სააგენტო“-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი სარწმუნო წყაროებიდან იტყობინება, რომ, რუსეთის აზრით, კორეია ისე იქცევა, რომ მებრძოლ სახელმწიფოთ უნდა ჩაითვალოს, იმან ნეიტრალიტეტი დაარღვიაო.

ტიან-ძინი („რეიტ. სააგ.“). პეკინში მყოფმა რუსეთის ელჩმა ხელ-ახლად განაცხადა პროტესტი ჩინეთის წინაამდეგ დიდ კედელს იქით ჯარის გაგზავნისათვის და მოითხოვა ჯარის უკანვე დაბრუნება, ამასთან დაუმატა, თუ ჩინეთი ამ მოთხოვნილებას არ აასრულებს, მაშინ რუსეთი იძულებული იქნება აღიაროს, რომ ჩინეთი ნეიტრალიტეტს არღვევს იაპონიის სასარგებლოდ.

პორტსმუტი. ხმა გავრცელდა, რომ წყლის ქვეშ მოსიარულე ინგლისის ნავი, რომელზედაც 11 კაცი მსახურებდა, დაიღუპაო.

ლონდონი („რეიტ. სააგ.“). საადმირალო ამოწმებს ხმას წყლის-ქვეშ მოსიარულე ინგლისის ნავის დაღუპვის შესახებ. ნავს გემი დასჯახებია. დაღუპულან გემზე მყოფი მეზღვაურები. ნავი ახალის სისტემისა იყო.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

7 მარტი

ბერლინი. როგორც „ბერლინერ ლოკალ ანც.“-ი იუწყება, მარკიზ იტომ სეულში ინახულა პოლიტიკური მოღვაწენი. ყველგან მეფურის პატივით ეგებებოდნენ. ირკვევა, რომ კორეის ფაქტიური მმართველი იტო იქმნება. რუსოფილებს ისევ სდევნიან. ვისაც შეძლება აქვს, მიდის სამშობლოდან.

რომი. „ოსერვატ. რომანო“ უარ-ჰყოფს იმ ხმას, ვითომ პაპის კონგრეგაციის „პროპაგანდა ფიდე“-ს საშუალებით ეცნობებინოს კათოლიკე მისსიონერთათვის, უპირატესობა იაპონიას მიეცითო. ვატიკანი ამ ომში ნეიტრალიტეტს იცავს.

ლონდონი. „სტანდარტ“-ი იტყობინება: პეკინში მყოფმა რუსეთის ელჩმა ჩინეთს პროტესტი განუცხადა დიდს კედელს იქით ჯარის გაგზავნისათვის, ამასთან დაუმატა, ჩემი განცხადების აუსრულებლობა ნეიტრალიტეტის დარღვევად იქმნება ჩათვლილიო.

ბერლინი. „ფრანკფურტერ ცაიტ.“-ი იუწყება: ტოკიოში მყოფი ინგლისელთა და ამერიკელთა კოლონიები ძლიერ გაახარა იაპონელთა გამარჯვებამ, მაგრამ იმ აზრისა არიან, რომ თუმცა რუსებმა ჯერ-ჯერობით წააგეს, მაგრამ ბოლოს მაინც ისინი გაიმარჯვებენო. იაპონელები ცრუ ამბებს ავრცელებენ, ვითომ რუსები სასტიკად ექცეოდნენ იაპონელებს.

იაპონიაში მკაცრი ზამთარია.

ოდესა. კონსტანტინეპოლში მდგომი გემი „როსტოვი“ დააზიანა ინგლისის საქონლის გემმა. შეკეთებისათვის საჭირო ხარჯი ინგლისელებმა იკისრეს.

ინგლისელთა კოლონია ამზადებს ნივთებს წითელი ჯვრისათვის.

ვლადივოსტოკი. ხმა დადის, ვითომ განაპირა ადგილებში ეპოვნოთ ჩინელების მიერ დამალული სამხედრო იარაღი.

აქ მშვიდობიანობაა.

პოსიეტის რაიონში მცხოვრები 600 კორეიელი ჩაეწერა თავისუფალ მეომართა რაზმში.

ბერლინი. სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში გერმანიის ჯარი გერეროს ხალხთან შეტაკების დროს ძლიერ დაზარალდა. დაჭრილ გლაზენაპის რაზმმა უკან დაიწია დიდის ზარალით. მოუკლეს 7 აფიცერი და 19 ჯარის-კაცი და ბევრიც დაუჭრეს.

„ნაციონალ ცაიტუნგ“-ი იტყობინება, რომ იაპონიის ჯარი საომარ დროის რიცხვამდე იქმნა აყვანილი. მომქმედ დივიზიასა და სარეზერვო ბრიგადებში 340.000 კაცამდეა, რომელთაც 540 ზარბაზანი აქვთ. ჩრდილოეთ კორეიაში ჯარის გადაყვანას მაისის ნახევარში დაასრულებენ.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 მარტი

ლიაოიანი. 6 მარტი (სპეციალური). ინკოუდან უცხოელების ოჯახები გაიხიზნენ, იქ დარჩა მხოლოდ მცირეოდენი რიცხვი უცხოელ კომერსანტებისა. გემები მხოლოდ დღისით მოდიან, მოჰყავს რუს ლოცმანებს. ამ ჟამად ჩინეთის მთელმა ჯარმა ლიაოხედან დასავლეთისაკენ დაიწია.

გენერალ ლინევიჩმა გამოსცა ბრძანება მანჯურიაში მყოფ ჯარის მიმართ. ბრძანებაში ნათქვამია, რომ ყველა ჯარის-კაცი ვალდებულია, მეგობრულად და მშვიდობიანად ექცეოდეს ჩინელებს და არავინ არ გაბედოს შეურაცხყოფისა და შევიწროვების მიყენება. ყოველგვარ საქონელში ჩინელებს ნაღდი ფული ეძლეოდეთ. ამ ბრძანების ასრულების თვალყურის დევნება დავალებული აქვთ ჯარის უფროსებს. გენერალ ლინევიჩის განკარგულებამ ხალხში კარგი შთაბეჭდილება გამოიწვია. სურსათ-საკვებისა და საკლავ საქონლის ყიდვა ჩინელებისაგან შეუფერხებლად სწარმოებს.

ლონდონი. იანახმად ჩიფუდან გამოგზავნილ კერძო დეპეშისა, მდინარე იალუზე ბრძოლა მომხდარა. როგორც ხმა დადის, რუსებს ტყვედ წაუყვანიათ 1.800 იაპონელი.

პარიზი. იტყობინებიან, რომ ქალბატონმა კარნომ და გარდაცვალებულ პრეზიდენტის რძლებმა დააარსეს სახელოსნო დაჭრილ რუსებისათვის საცვლებისა და ჭრილობის შესახვევ მასალების მოსამზადებლად. თავდაპირველად მოამზადებენ 200 საწოლისათვის საჭირო მასალას.

ანჩინსკი. 6 მარტს აქ გაიარა გენერალმა კუროპატკინმა. დეკანოზმა ალექსანდროვმა გენერალს სიტყვა უთხრა. მოურავმა პურმარილი მიართვა, მიართვეს აგრეთვე ხატი. გენერალმა მადლობა მოახსენა. გააცილეს სახალხო ჰიმნის სიმღერითა და „ურას“ ძახილით.

პეტერბურგი. 6 მარტს შორეულ-აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობა არ მოსულა.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

7 მარტი

პეტერბურგი „ნოვოე ვრემია“-ს დეპეშით ატყობინებენ მუკდენიდან: ჯერ-ჯერობით მშვიდობიანობაა, ზოგჯერ პორტ-არტურიდან მტრის ესკადრა გამოჩნდება ხოლმე. ინკოუდან ღამ-ღამობით ზღვაში სინათლე მოსჩანს.

ვლადივასტოკი. აქ მშვიდობიანობაა.

ახალი ამბავი

◆ როგორც ქუთაისიდან დეპეშით გვატყობინებენ, 6 მარტს, საღამოთი, ხუთი ბერდანის თოფით **შეიარაღებული ყაჩაღი თავს დაეცა** გოკიელოვის მაღაზიას. ყაჩაღებსა და ნოქრებს შორის სროლა ასტყდა, რომლის დროსაც სასიკვდილოდ დაიჭრა ერთი დედაკაცი. ყაჩაღებს წაუღიათ 20 მანეთი.

◆ გუშინ, 7 მარტისათვის დანიშნული საზოგადო კრება ტფილისის სასოფლო-**სამეურნეო საურთიერთო კრედიტის** საზოგადოებისა, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, არ შესდგა და გადაიდო 21 მარტისათვის.

◆ დღეს, 8 მარტს, ტფილისის **ქალაქის საბჭოს** განსახილველად აქვს 26 საქმე, აქედან 15 ძველი და 11 ახალი. სხვათა შორის, საბჭომ უნდა განიხილოს: ხმ. კოჟინის მოხსენება მადათოვის კუნძულზე ბაღის გაშენების შესახებ, მოხსენება კომისიისა შეღავათიანის ფასით ქალაქის წყლის მილიდან წყლის დათმობის შესახებ, ანგარიში იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის ქუჩის საუკეთესო სისტემით მოკირწვლა, მოხსენება ხორცზე ნიხრის შეცვლის შესახებ და სხვ.

◆ როგორც „კავკაზ“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, ხაზინამ ფული გადასდო ქუთაისის რეალურ **სასწავლებლის** მეშვიდე კლასის შესანახად.

◆ უმაღლესს მთავრობას დაუმტკიცებია ამიერ-კავკასიის **საერობო გადასახადების** აღრიცხვა 1904—1906 წლებისათვის.

◆ ფინანსთა სამინისტრომ დაამტკიცა წესდება **ოზურგეთში განზრახულ საურთიერთო კრედიტის** საზოგადოებისა.

◆ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ გადასდო 5,881 მანეთი დაბა **ონში რიონზე ხიდის შესაკეთებლად**, რომელიც საკმაოდ დაძველდა. მუშაობას ეხლავე, გაზაფხულის წყალ-დიდობამდე უნდა შეუდგნენ.

◆ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ტფილისის გუბერნიაში **გზა-ტკეცილებისა და საურმე გზების** შესანახად და შესაკეთებლად გადასდო 80,000 მანეთი.

◆ ფოსტა-ტელეგრაფის მთავარმა გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ **ფულიან და ფასიან პაკეტებისა** და ფულიან ფოსტის ბლანკების სახლში მიტანა არ არის ნება-დართული შემდეგ ადგილებში: ბაქოსა, განჯისა, ტფილისისა, ერევნის გუბერნიებში და ყარსისა და ზაქათალის ოლქებში.

◆ ქალაქის **ხორცის დუქნების** საქმე ხელ-ახლა უკან-უკან მიდის. დღეში ამ დუქნებს 100 მანეთი ზარალი აქვთ თურმე.

◆ ტფილისის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორი დაბრუნდა რუსეთიდან, სადაც იგი ქალაქის საბჭომ გაგზავნა სანიტარულის მხრივ დიდ ქალაქების შესასწავლად.

◆ ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: „უგულითადეს მადლობას ვუცხადებ მ. ეპიფანე ანტონისძე კანდელაკს, რომელმაც ნაცნობთა შორის ხელის მოწერით შეაგროვა 61 მან. და 50 კაპ. ჩოხატაურის სამინისტრო ორ-კლასიანი სასწავლებლის სასარგებლოდ. ამასთანავე გიგზავნით შემომწირველთა სიას. *) სკოლის ზედამხედველი ირ. ღლონტი, მქადაგი პავლე იაკობისძე ცინცაძე, მზრუნველი გერასიმე მეგრელიშვილი“.

◆ ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: „გულითად მადლობას ვუძღვნი ქ. ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მასწავლებელს თომა აბრამის ძეს მთავრიშვილს, რომელმაც მდგომარე წელს ს. ჯიმითის სამრევლო სკო-

---

*) სია მოგვივიდა. რედ.

დას ჟურნალი „ჯეჯილი“ გამოუწერა და ს. კაჭრეთის მცხოვრებელს თ. კონსტანტინე ანდრონიკაშვილს, რომელმაც გადმოსცა შვიდი მანეთი, ნაცნობთა და ნათესავთა შორის შეკრებილი, ხსენებულ სკოლის სასარგებლოდ. სკოლის გამგე ბლადოჩინი მღ. გ. შიშნიაშვილი“.

◆ სოფ. თიანეთის მცხოვრები მარიამ პადურაშვილი ვიღაც ბოროტ-განმზრახველებს გაუქურდავთ. წაუღიათ 6 ტომარა ფქვილი, 42 მანეთად ღირებული.

რუსეთის ქრონიკა

◆ „დონს. რ.“ ატყობინებენ, რომ მთავრობას საერობო დაწესებულებათა შემოღება ამ ჟამად დონის ოლქში უხერხულად უცვნიათ.

◆ 26 თებერვალს პეტერბურგში დიდის ამბით გაუხსნიათ ქალთა სასოფლო-სამეურნეო კურსები, რომელიც ქალთა სასოფლო-სამეურნეო განათლების გამავრცელებელ საზოგადოებას დაუარსებია.

◆ ახირებულ ამბავს იუწყება „დონ. რ.“ ქ. როსტოვს პოლიციელთ უნახავთ ქუჩაში ვიღაც მამაკაცის გვამი, რომელიც ჯერ პოლიციაში წაუღიათ და შემდეგ საავადმყოფოში. აქ მიცვალებული გაუბანიათ, ჩაუცმევიათ სუდარა და მიცვალებულთა ოთახში დაუსვენებიათ. საათის შემდეგ საავადმყოფოს მოსამსახურეთ რაღაც ხმაურობა გაუგონიათ. მაშინვე მიცვალებულის ოთახთან მისულან და დაუნახავთ შემდეგი სურათი: მიცვალებული ოთახში დადიოდა, ეძებდა გარედ გამოსავალს და ხმაურობდა. იძულებულნი გამხდარან „მიცვალებული“ სავანესაგან გაენთავისუფლებინათ, ტანისამოსი დაებრუნებინათ და თავის სახლში გაესტუმრებინათ.

◆ როგორც „იუჟ. კრ.“ იუწყება, ხარკოვის სატეხნოლოგო ინსტიტუტში სტუდენტების მიღების წესი შეუცვლიათ. აქამდე საკონკურსო ეგზამენის დაჭერის უფლებას აძლევდნენ იმ სემინარიელებს, რომელნიც გიმნაზიის გათავების ატესტატს წარადგენდნენ, ამიერიდან კი ეგზამენის დაჭერის უფლება მხოლოდ იმ სემინარიელებს ეძლევათ, რომელნიც პირველ ხარისხით დაასრულებენ სწავლას.

◆ გაზეთი „ნოვოსტი“ აღნიშნავს, რომ ბევრი სათადარიგო ჯარის კაცი თანახმა არის სრულიად უსასყიდლოდ იმსახუროს, ოღონდ კი ჯარში გაწვევა თავიდან აიცილოს. ამ აზრით ციმბირის რკინის გზას აუარებელი მთხოვნელი მიაწყდა თურმე, და თანახმანი არიან სულ უსასყიდლოდ იმსახურონ. ასეთსავე ამბავს ატყობინებენ ჩიტადან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ პოლიციის სამსახურში შედიან უსასყიდლოდ.

◆ როგორც „პეტერ. ვედ.“ გადმოგვცემს, კვირას, 22 თებერვალს, რამდენჯერმე უსროლიათ რევოლვერი პელოსტოკის პოლიცმეისტერ პელენკისათვის. კათოლიკების ადგილობრივ სასაფლაოზე მიასვენებდნენ ვიღაც მიცვალებულს, რომელსაც დიდ-ძალი ხალხი მიაცილებდა. პროცესიაში მყოფ პოლიციელთ შეუნიშნავთ, რომ ხალხი წესიერებას არღვევდა. პოლიციელებმა მაშინვე მიიღეს ზომები უწესოების ჩასაქრობად და ხალხის გაფანტვა მოინდომეს, მაგრამ ხალხმა პოლიციელებს ქვები დაუშინა. ეს ამბავი საჩქაროდ პოლიცმეისტერს აცნობეს, რომელიც მაშინვე თანაშემწის თანახლებით იქ გაჩნდა და უბრძანა ხალხს დაშლილიყო. პასუხად გაისმა რევოლვერების სროლა. სხვათა შორის, ერთმა ოცი წლის ყმაწვილმა პირდაპირ პოლიცმეისტერს ორჯერ ესროლა რევოლვერი და გაიქცა. მას დასდევნებია დასაჭერად თვითონ პოლიცმეისტერი, რომელიც დასწევია კიდევაც, ხელის კვრით წაუქცევია და დაჭერილი პოლიციაში წაუყვანია.

◆ ფინლიანდიის ბეჭდვითი საქმის მთავარგამგეობის განკარგულებით ერთის თვით შეჩერებულ იქმნა ჰელსინგფორსის გაზეთი „პეიველეტი“, რომლის 11 და 14 თებერვლის ნომრებში უმაღლესი მანიფესტი უმაღლესი ტიტულის შემოკლებით იყო დაბეჭდილი.

წერილი ჟენევიდან

პირველი ქართული საღამო ჟენევაში.—მაკედონელთა საღამო და ბ-ნი სარაფოვი.

20 თებერვალს (ახალის სტ.) ქართული სტუდენტების თაოსნობით ჟენევაში გაიმართა პირველად ქართული საღამო. ყოველი საშუალება იყო ნახმარი, რომ საღამოს ქართული ხასიათი ჰქონოდა; ამისთვის შეუკვეთეს რამდენიმე ხელი ქართული ტანისამოსი, როგორც ქალებისა, ისე კაცებისთვის. პარიზიდან დაიბარეს ლეკურის მოცეკვავე, რადგან ადგილობრივ ქართველთა შორის ხეირიანად მოცეკვავე ვაჟი არ აღმოჩნდა; დაიბარეს ფრეიბურგიდან ცოცხალ სურათების დამდგმელი და სხ. ყველაფერზე უფრო ძნელი იყო ხოროს მომზადება ქართულად: გარდა იმისა, რომ უმეტესი წილი მომღერლებისა რუსობა იყო, რომელთათვისაც ქართულ ხალხური მელოდია ჩინურ ანბანს შეადგენდა და მასთან სიტყვების გამოთქმაც ეძნელებოდათ, ზედ-დაერთო კიდევ ქართულ ნოტების უქონლობა. ხელთ გვქონდა ბ-ნ კარგარეთელისაგან სამ ხმაზე გადაღებული ნოტები, რომელიც სინამდვილესთან ძლიან შორს დგას, ხოლო ბალანჩივაძის და კავსაძის მიერ შედგენილი ნოტები საღამოს გათავების შემდეგ მოვიდა. ხოროს ლოტბარობდა ბ-ნი სლავიანსკი (ვაჟი ცნობილის სლავიანსკისა), რომელმაც ოთხ ხმაზე გადააკეთა რამდენიმე ქართული სიმღერა და დაასწავლა ხოროს. საღამოს პროგრამა საინტერესოდ იყო შედგენილი. პირველი განყოფილება დაიწყო სიმღერებით. ხორომ იმღერა: „დაშქრად წასვლა“, „გაფრინდი შავო მერცხალო“, „დღეს მერცხალი შემოფრინდა“; სამმა იმღერა: „ალი-ფაშა“, „ინდი-ფინდი“, „აბადელო-დელია“, „ჩარი-რამა“ და სხ. როიალზე მოხდენილად შეასრულა ქ. დ ჟორდანიამ კავკასიური მელოდია „ბაიათი“. მეორე განყოფილებაში კი დადგეს ცოცხალი სურათები 1. „ვეფხის ტყაოსანი“-დან „ნესტარ-დარეჯანი და ტარიელი“, 2. „დემონი“-დან—„თამარა“ მოცეკვავე. დასასრულ ხორომ იმღერა საცეკვაო და სცენაზე ქულაჯაში იცეკვა ლეკური ბ. დ. რომელსაც რამდენჯერმე გაამეორებინა დამსწრე საზოგადოებამ. თუმცა საღამო სადგომის სიავის გულისთვის შუაგულ ქალაქზე ცოტა მოშორებით გაიმართა და მასთან ამინდიც ცუდი იყო, ხალხი მაინც ბლომად დაესწრო. აქ ნახავდით ყველა რჯულის ხალხს [ფრანგებს, ნემცებს, იტალიელებს რუსებს, პოლონელებს, სომხებს, ბოლგარელებს, სერბიელებს და სხვა-და სხვა. სიმღერებში საზოგადოებას ყველაზე უფრო მოეწონა „ალი-ფაშა“, რომელიც რამდენჯერმე გაამეორებინეს; სურათებში „თამარა“, რადგან მართლაც ძალიან კარგად იყო დადგმული: მოცეკვავე თამარ შუაგულ სცენაზე იდგა ქართულ ტანისამოსში გამოწყობილი, ხოლო გარშემო იდგნენ ქალები ქართულადვე ჩაცმულები და დაირით ხელში და ვაჟები ქულაჯებით. ბალი ნაშუაღამევს დაიწყო ლეკურით. იტალიელთა ორკესტრმა დაუკრა ლეკური, რომელიც ადრევე შეასწავლეს და რომელზედაც მოხდენილად იცეკვეს ქ-ნმა მ. და ბ-ნმა დ. საზოგადოებას მეტად მოეწონა. როდესაც ორკესტრმა ვალსი დაუკრა, საზოგადოებიდან მოისმა სტვენა, ვალსი შეაწყვეტინეს მუსიკას და ხელ-ახლად რამდენჯერმე ლეკური გაამეორებინეს. ხალხი დაიშალა დილის ხუთ საათზე. თუმცა საღამო ვერ იყო ვერც შინაარსით და ვერც ნივთიერად ისეთი, როგორც სასურველი იყო, მაგრამ პირველ ნაბიჯი და გაბედულება მაინც კარგია. ვიქონიოთ იმედი, რომ შემდეგისთვის მეტის გამოცდილებითა და მეტის ძალითაც უკეთესი საღამოები გაიმართება.

აქვე გაიმართა 24 თებერვალს მაკედონური საღამო მაკედონელთა უნუგეშოთ დარჩენილ ოჯახების სასარგებლოდ. საინტერესო პროგრამამ და კეთილმა მიზანმა ხალხი ბლომად მიიზიდა. პროგრამაში იყო ოთხი ცოცხალი სურათი მაკედონიის ცხოვრებიდან, სიმღერები, ცეკვა და სხ. როდესაც სალიტერატურო განყოფილება გათავდა, ხალხი ბუფეტში გავიდა, რომ დარბაზი საცეკვაოდ მოემზადებინათ. უცებ საზოგადოების ყურადღება მიიქცია ერთმა კუთხემ. აღმოჩნდა, რომ იქ იდგნენ ბოლგარების გამოჩენილი პუბლისტი ბ-ნი რადიევი და მაკედონელ აჯანყებულთა მეთაური ბორის სარაფოვი, რომელსაც ევროპის გაზეთები ასეთის ამბითა და ეპიზოდებით იხსენიებდნენ. მალე შემთხვევა მოგვეცა მათ გავცნობოდით. სარაფოვს შემოეხვია ხალხი და აძლევდა კითხვებს კითხვებზე. სარაფოვი პასუხს სწრაფად იძლეოდა ყველა კითხვებზე. ჩვენ წინ იდგა შუათანა ტანისა, შავგვრემანი, გამხდარი კაცი, მართლაც სწრაფი და სიცოცხლით სავსე; რადგან რუსულს ძალიან სუსტად ლაპარაკობს, ამიტომ მეტ წილად ფრანგულად საუბრობდა საზოგადოდ სარაფოვმა ისე შთაბეჭდილება ვერ მოახდინა ჩვენზე, როგორიც მოსალოდნელი იყო.

მ. ღორეშელი

◆

კავკასიელ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების კრება

კრება მოხდა 6 მარტს საარტ სტო საზოგადოების სადგომში ექიმის მ ვესელოვზოროვის თავმჯდომარეობით. დაესწრო 26 წევრი. პირველად განიხილეს 1903 წლის მოქმედების ანგარიში. ამ წელს შემოსვლია სულ 5834 მან. 88 კაპ. აქედან სტუდენტებისთვის შემწეობის აღმოსაჩენად დახარჯულა 4912 მან., ხელუხლებელ თანხის გასაძლიერებლად ჩაურიცხავთ 588 მ. 92 კაპ. სულ დაუხარჯავთ 5631 მან. 94 კაპ., კასაში 1904 წლის 1 იანვრისათვის დარჩენილა 202 მან. 94 კაპ. წელს პირველ მარტამდე საზოგადოების კასაში შეწირულება შესულა 217 მან. 7 კაპ., ქალაქის საბჭოსაგან შემწეობა 500 მან., 12 იანვარს გამართულ საღამოსი 1903 მან., საწევრო 180 მან. და სხვ. სულ 3003 მან. აქედან სტუდენტების შემწეობაზე დახარჯულა 2525 მან., ხელუხლებელ თანხაში ჩაურიცხავთ 262 მან., სულ დახარჯულა 2087 მან. 76 კაპ. ამ ჟამად საზოგადოებას კასაში აქვს 198 მან. 25 კაპ. ხელუხლებელ თანხაში საზოგადოებას ამ ჟამად აქვს 4789 მ. 62 კაპ. საანგარიშო წელს საწევრო ფულის შემოტანას ძალიან დაუკლია, ხოლო შესამჩნევად გადიდებულა შემოსავალი წარმოდგენებისა და შემოწირულებათაგან. სტუდენტების დასახმარებელ ხარჯს 1902 წელს 2521 მან. საანგარიშო წელს მოუმატნია და ასულა 4912 მან. აქედან სტუდენტებისთვის მიუციათ 2905 მან., ხოლო ლექციების ყურის საგდებლად 2007 მან. რუსეთში მოსწავლე კავკასიელ სტუდენტთაგან შემწეობა მიუღია 130 კაცს, აქედან ადესის უნივერსიტეტში 26 სტუდენტს, ხარკოვისაში 20, ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტში – 19, იურიევისაში 18, მოსკოვისაში 9, კიევისაში 4 და სხ. უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში არა უმეტეს 4 სტუდენტისა მიუღიათ შემწეობა. ანგარიშის განხილვის დროს ზოგიერთმა წევრმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ საწევრო ფული ნაკლებად შემოდის. გამგეობის თავმჯდომარემ სთქვა, საჭიროა ყოველთვის მოვაგონოთ ხოლმე წევრთ ფულის დროზე გაგადახდა; ჩვენ-კი ასე ვერ მოვიქცეით, რადგან საჭირო ფული არა გვქონია საზოგადოებისაგან, რომ განსაკუთრებული კაცი დაგვეჭირა და გაგვეგზავნა წევრებთან. კრებამ დაადგინა, გადასდოს აღნიშნულ საგნისათვის ფული და დაავალოს გამგეობას მეტის ყურადღებითა და მუყაითობით შეუდგეს საწევრო ფულის მოკრებას. გამგეობის თავმჯდომარემ ბ-ნმა ლავროვმა აცნობა კრებას: ტფილისის გუბერნატორის მეუღლემ ლ. ა. სვეჩინამ, კნ. დ. რ. ჭავჭავაძისამ და ე. დ. ასტაფიევამ დიდი ამაგი დასდეს საზოგადოებას და, თანახმად გამგეობის დადგენილებისა, გთხოვთ ესენი საპატიო წევრებად ავირჩიოთო. კრებამ ერთხმად მიიღო ეს წინადადება. დასასრულ კრება შეუდგა გამგეობის წევრებისა, მათ კანდიდატებისა და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევას. წელს სამსახურის ვადა გაუთავდა სამს წევრს გამგეობისას—ი. ღულაძეს, ა. მ. ჭყონიას და ლ. შევალიეს. კრებამ კენჭის ყრით ამოირჩია ესენივე: ა. ჭყონია—ერთხმად, ი. ს. ღულაძე—24 ხმით წინააღმდეგ 2 ხმისა და შევალიე 22 ხმით წინააღმდეგ 4 ხმისა. გამგეობის წევრთა კანდიდატებად ხმის უმეტესობით ამორჩეულ იქმნენ ეკატ. მესხისა, პ. ნ. კოჟინი, ექიმი ა. მაღალაშვილი, ა. ზ. თამამშევი, რ. გ. ფედოროვი და პ. ი. უმიკაშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებად: ექიმი გ. დ. გაბაშვილი, ა. ი. ლომანი, მ. ა გედევანიშვილი, ნ. პ. ღლონტი და ა. ა. მუხარინსკი. სარევიზიო კომისიის წევრთა კანდიდატებად კრასნიანსკი და მატვეევი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც გამგეობამ აუწყა კრებას, შარშან სარევიზიო კომისიას არც ერთხელ არა ჰქონია სხდომა და ანგარიშის შესახებაც არავითარი მოხსენება არ წარუდგენია კრებისათვის. კრებამ მადლობა გადაუხადა გამგეობას და ღამის 11 საათზედ დაიშალა.

სასამართლო

I

კაცის მოკვლა.

ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ გორში გაარჩია საქმე გორის მაზრის სოფელ არცევის მცხოვრების ილარიონ ცაციაშვილისა, რომელსაც თავის მეზობლის ლოსია უკანცქერელის მოკვლა ჰბრალდებოდა. მოკლული და ბრალდებული 1903 წლის 24 ივნისს დღეობიდან შინ მიდიოდნენ. უკანცქერელს ცაციაშვილისათვის უთქვამს, წინ გამიძეხიო, და როცა ცაციაშვილი წინ წასულა, უკანიდან ჯოხი დაურტყამს. ამაზე გულმოსულ ცაციაშვილს ხანჯალი ჩაუკრავს იმისთვის გულში და იქვე მოუკლავს. ცაციაშვილს ოლქის სასამართლომ გადაუწყვიტა ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 3 წლით გაგზავნა.

II

ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელმა ამ დღეებში ტფილისის ოლქის სასამართლოს განსახილველად გადასცა ერთი საყურადღებო საქმე, რომლითაც ახალქალაქის მაზრის მცხოვრებნი, 18 გლეხი, პასუხის გებაში არიან მიცემულნი მიწის მზომლის ბაჟბეუქ-მელიქოვისათვის სამსახურის აღსრულების დროს წინააღმდეგობის გაწევის გამო.

III

ხვალ, 8 მარტს, ტფილისიდან მიემგზავრება სიღნაღს ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია. სესიის სხდომები დაიწყება 10 მარტს და გასტანს 22 მარტამდე. სასამართლოს განსახილველად აქვს 25 საქმემდე.

IV

9 მარტიდან ახალქალაქში დაიწყება სხდომები ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიისა და გაგრძელდება 15 მარტამდე. სესიას განსახილველად აქვს 15 საქმემდე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 მარტი.

ბერლინი. პოლკოვნიკი გლაზენაპი აფიცერთა მრავალ-რიცხოვან შტაბისა და 36 ცხენოსნის თანახლებით ხმელეთის ჯარს განშორდა და შეეხება მტრის მოწინავე რაზმს, რომელსაც მოულოდნელად სხვა ჯარი მოეშველა. გლაზენაპი იძულებული გახდა, უკან დაწეულიყო. მოუკლეს 7 აფიცერი და 19 ჯარის კაცი; დაუჭრეს 3 აფიცერი და ორი (ჯარის კაცი?).

რომი. პაპმა ყველა კარდინალები სადარბაზოდ მიიღო. კარდინალმა ორელიამ მიულოცა პაპს გუშინდელ სახელწოდების დღესასწაულის გამო. მირთმეულ ადრესის საპასუხოდ პაპმა სიტყვა წარმოსთქვა და გაიხსენა საფრანგეთიდან ბერების ორდენების განდევნა და ამის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა. პროტესტი განაცხადა აგრეთვე ორის კარდინალის შეურაცხყოფის გამო.

სტამბოლი. რუსეთისა და ავსტრიის ელჩების მიერ წარდგენილ ნოტაზე პორტას პასუხი ჯერ არ მიუცია.

მაკედონიაში მცხოვრები ბერძნები ჩივიან, რომ ბოლგარელ რევოლიუციონერთა რაზმებმა მუქარით აიძულეს მცხოვრებნი ეგზარხოსისაკენ გადასულიყვნენ. საჩივრები მიიღო ხილმი-ფაშამ, რომელმაც განკარგულება მოახდინა საქმის გამოსაძიებლად.—რამდენიმე გადახვეწილი დაბრუნდა ბოლგარიიდან. სამოქალაქო აგენტები ამ ჟამად ზრუნავენ სატუსაღოების გაუმჯობესობისათვის. ესევე აგენტები შეუდგნენ საგზაო ბეგრის საკითხის გაწეს-რიგებას.

აჯანყებულ ალბანელთა წინამძღოლი სულეიმანი და ბევრი მეამბოხე გაიგზავნენ მცირე აზიაში.

პორტ-სიიდი. („რეიტ. სააგ.“). შავი ჭირით ავადმყოფი აღმოაჩინეს.

7 მარტი

სტამბოლი („ვოლფ. სააგ.“). სამსახურიდან დაითხოვეს მარშალი არიფი, სულთანის ფავორიტი, რომელიც ადრიანოპოლში დიდის ხნის განმავლობაში ვალისა და მეორე სამხედრო კორპუსის უფროსის თანამდებობას ასრულებდა. აღმოჩნდა, რომ არიფის უფროსობის დროს კორპუსისა და ვილაეტის მართვა-გამგეობის საქმე ვერ მიდიოდა კარგად.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრის დადგენილებით, გაზეთი „ორლოვსკი ვესტნიკ“-ი ოთხის თვით შეჩერებულ იქმნა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

ადგილი

ზომით 300—400 ოთხკუთხი საჟენი ჰსურთ იყიდონ ვერაზე და სოლოლაკში. უკანასკნელი ფასები პატრონებმა უნდა აცნობონ წერილობით ტფილისის საქალაქო გამგეობის სასწავლებელთა კომისიის საქმის მწარმოებელს (გამგეობის 1-ლ განყოფილებაში) 20 მარტამდე. (ნ. 3—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის **პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.